ცხადდება კონკურსი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებისთვის ტუშას უნივერსიტეტში (იტალია) ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიების მოსაპოვებლად

აკადემიური პერსონალისთვის:

მიმართულება	ინგლისური ფილოლოგია, სამართალი, ეკონომიკა, ფსიქოლოგია
ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	16-20 დეკემბერი
ვებგვერდი	https://www.unitus.it/en/

ადმინისტრაციული პერსონალისთვის:

მიმართულება	ორმაგი ხარისხის მიმანიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და მართვა
ენა	ინგლისური
მობილობის პერიოდი	16-20 დეკემბერი
ვებგვერდი	https://www.unitus.it/en/

ნომინანტთა შესარჩევი პროცესი:

- სააპლიკაციო დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. პასპორტის ასლი;
2. დეკანის/სამსახურის ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭედითა და ბლანკით (ინგლისურ ენაზე);
3. CV ინგლისურ ენაზე
4. შევსებული სამუშაო გეგმა ინგლისურ ენაზე, (დანართი 1);

კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებული რელევანტური მიმართულების აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) უნდა გამოგზავნოს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge მიმდინარე წლის 14 ნოემბრის 16:00 საათამდე (თბილისის დროით)! გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია. გასაუბრება ჩატარდება 15 ნოემბერს დღის პირველ ნახევარში დასწრებულ ფორმატში.

კითხვების შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge